საქართველოს მთავრობის

დადგენილება

N 488 2018 წლის 15 ოქტომბერი ქ. თბილისი

„ცენტრალური გამწვევი კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №406 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ცენტრალური გამწვევი კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №406 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 20/06/2014, 120260020.10.003.018026) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული:

1. დანართი №1 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დანართი №1

ცენტრალური გამწვევი კომისიის შემადგენლობა

1. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე – კომისიის თავმჯდომარე.

2. საქართველოს თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე – კომისიის თავმჯდომარის მოადგილე (თანათავმჯდომარე).

3. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე – კომისიის წევრი.

4. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე – კომისიის წევრი.

5. საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე – კომისიის წევრი.

6. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე – კომისიის წევრი.

7. საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე – კომისიის წევრი.

8. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მოადგილე – კომისიის წევრი.

9. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სპეციალური პენიტენციური სამსახურის წარმომადგენელი – კომისიის წევრი.

10. სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის წარმომადგენელი – კომისიის წევრი.

11. საქართველოს მთავარი პროკურატურის თავდაცვის და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის უფროსი – კომისიის წევრი.

12. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი – კომისიის წევრი.

13. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი – კომისიის წევრი.

14. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მობილიზაციისა და სამხედრო სამსახურში გაწვევის კოორდინირების დეპარტამენტის უფროსი – კომისიის წევრი.

15. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მობილიზაციისა და სამხედრო სამსახურში გაწვევის კოორდინირების დეპარტამენტის წარმომადგენელი – კომისიის წევრი, კომისიის მდივანი.“.

2. №2 დანართის მე-4 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. კომისიის თავმჯდომარის მოადგილე (თანათავმჯდომარე) ასრულებს კომისიის თავმჯდომარის ცალკეულ დავალებებს.

4. კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში, მის მოვალეობას ასრულებს კომისიის თავმჯდომარის მოადგილე (თანათავმჯდომარე) ან კომისიის თავმჯდომარის დავალებით – კომისიის სხვა წევრი.“.

3. №3 დანართის:

ა) მე-10 პუნქტი ამოღებულ იქნეს;

ბ) მე-11 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„11. ლია ყანდაშვილი – ნევროპათოლოგი;“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **მამუკა ბახტაძე**